განმარტებითი ბარათი

მოგახსენებთ რომ თვენ მიერ დადგენილი შუალედური პასუხი ჩვენთვის სრულებიტ მოულოდნელი იყო რადგან მშენებლობა მიმდინარეობდა შეთანხმებული პროექტის მიხედვით (AR1942631) რომელიც შეთანხმდა გასული წლის 20 მართს, ამის შემდგომ რამოდენიმე ეტაპის ჩაბარების შემდგომ სამსახურს მივმართეთ პროექტის კორეტირებაზე განცხადების ნომრით AR11003652 რაც ითვალისწინებდა მთავრი ფასადის მოსაპირკეთებელი დეტალების და ვიტრაჯების უმნიშვნელო ცვლილებას რაზეც სამსახურმა ასევე დადებითი მასუხი გაგვცა რის შემდგომაც მშენებლობა გაგრძელდა კორექტირებული პრექტის მიხედვით.

შეტყობინების სახით 17 ივნისს ჩვენს კითხვაზე თუ რას გულისხმობდით დარღვევაში განგვიმატეთ, რომ შეცვლილი იყო ღიობების ზომები, ფორმა და შენობის ფერი რამაც ასევე ჩვენი გაკვირვება გამოიწვია რადგან შენობა შეღებილია სწორედ იმ ფერით რაც შეთანხმებულ პროექტშია მითითებული RAL 7026 - ით, ამასთანავე არ შეგვიცვლია არც შენობის ფორმა და არც ღიობების ზომები, და ვერ მივხვდით როგორ მოხდა თუნდაც ფერის ფოტომასალით განსაზღვრა.

